ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა № 370

“ 19 ” აგვისტო 2025 წ.

ქ. თბილისი

მისამართებზე: ქ. თბილისი, კოსმონავტების ქ. №45-47-49 (ს/კ. №01.13.05.004.173, №01.13.05.004.059, №01.13.05.004.142); ქ. თბილისი, პეტრე იბერის ქ. №6, კორპუსი 14, (ს/კ. №01.10.06.001.115), ქ. თბილისი, აკ.ბაქრაძის ქ. №16 (ყოფილი მარშალ გელოვანის გამზირი №1ა-1ბ, დიღმის მასივის II კვარტლის მიმდებარედ, (ნაკვ. 25/29), ს/კ. №01.10.10.025.029), ქ. თბილისი, ბოხუას ქ. №10, (ს/კ. № 01.13.02.005.006) - არსებული სამშენებლო ობიექტების დასრულებისთვის დაინტერესებული პირის - შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ (ს/ნ. 204460957) მიმართ დამატებითი/დაზუსტებითი ხელშემწყობი ღონისძიებების შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №59 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი - „დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების” 35-ე მუხლისა და „მისამართებზე: ქ. თბილისი, კოსმონავტების ქ №45-47-49 (ს/კ. №01.13.05.004.173, №01.13.05.004.059, №01.13.05.004.142); ქ. თბილისი, პეტრე იბერის ქ. №6, კორპუსი 14, (ს/კ. №01.10.06.001.115), ქ. თბილისი, აკ.ბაქრაძის ქ. №16 (ყოფილი მარშალ გელოვანის გამზირი №1ა-1ბ, დიღმის მასივის II კვარტლის მიმდებარედ, (ნაკვ,25/29) , ს/კ. №01.10.10.025.029), მისამართზე - ქ. თბილისი, ბოხუას ქ. №10, (ს/კ. №01.13.02.005.006) - არსებული სამშენებლო ობიექტების დასრულებისთვის დაინტერესებული პირის - შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ (ს/კ. 204460957) მიმართ დამატებითი/დაზუსტებითი ხელშემწყობი ღონისძიებების განსაზღვრის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 8 აგვისტოს №25.1345.1521 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, მისამართებზე - ქ. თბილისი, კოსმონავტების ქ. N45-47-49 (ს/კ N01.13.05.004.173, N01.13.05.004.059, N01.13.05.004.142); ქ. თბილისი, პეტრე იბერის ქ. N6, კორპუსი 14 (ს/კ N01.10.06.001.115), ქ. თბილისი, აკ. ბაქრაძის ქ. N16 (ყოფილი მარშალ გელოვანის გამზირი N1ა-1ბ, დიღმის მასივის II კვარტლის მიმდებარედ, (ნაკვ. 25/29), (ს/კ N01.10.10.025.029), ქ. თბილისი, ბოხუას ქ. N10 (ს/კ N 01.13.02.005.006) - არსებული, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ (ს/ნ 204460957) და მასთან აფილირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული (განკარგულებები: N20.1150.1428, 30.09.2020; N20.1147.1429, 30.09.2020; N20.1144.1433, 30.09.2020; N20.1146.1430, 30.09.2020) და ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ შეთანხმებული (განკარგულებები: N275, 01.10.2020; N277, 01.10.2020; N278, 01.10.2020; N279, 01.10.2020) ხელშემწყობი ღონისძიებების ფარგლებში, განისაზღვროს შემდეგი დამატებითი/დაზუსტებითი ხელშემწყობი ღონისძიებები:

ა) არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა განხორციელდეს წარმოდგენილი დოკუმენტაციის/კორექტირებული არქიტექტურული პროექტისა და გეგმარების შესაბამისად, ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით;, თითოეულ სამშენებლო ობიექტზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ შეთანხმებული (განკარგულებიები: №275, 01.10.2020; №277, 01.10.2020;; №278, 01.10.2020; №279, 01.10.2020) ხელშემწყობი ღონისძიებების ფარგლებში განსაზღვრული მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2)-ის გადამეტების გარეშე;

ბ) არქიტექტურული ვიზუალის, ფასადების და სართულის გეგმარების შეთანხმება მოხდეს წარმოდგენილი დოკუმენტაციის და კორექტირებული არქიტექტურული პროექტების და გეგმარების შესაბამისად, მათ შორის, დამატებული გათბობა-კონდიცირების სისტემების, მსუბუქი კონსტრუქციის გადახურვების, გისოსის და ლითონის ელემენტების (სარეცხისთვის) გათვალისწინებით;

გ) კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდეს დაყოფილი ბინაერთეულების გათვალიწინებით, წარმოდგენილი კორექტირებული პროექტის და გეგმარების შესაბამისად,

დ) კორექტირებული არქიტექტურული პროექტების შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდეს ავტოსადგომების რაოდენობის და პარამეტრების განმსაზღვრელი რეგულაციების გათვალისწინების გარეშე.

2. პირველი პუნქტის „ა“, „ბ“, „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული ხელშწემწყობი ღონისძიებები გამოყენებულ იქნას სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში წარდგენილი კორექტირებული არქიტექტურული პროექტების: ქ. თბილისი, კოსმონავტების ქ. № 45-47-49 - „ბ“ და „გ“ ბლოკი (ს/კ. №01.13.05.004.173,) – AR11099447; მისამართზე - ქ. თბილისი, პეტრე იბერის ქ. №6, კორპუსი 14, (ს/კ. №01.10.06.001.115) - AR11098893; მისამართზე - ქ. თბილისი, აკ.ბაქრაძის ქ №16 (ყოფილი მარშალ გელოვანის გამზირი №1ა-1ბ, დიღმის მასივის II კვარტლის მიმდებარედ, (ნაკვ,25/29), (ს/კ. №01.10.10.025.029) - AR11086391; მისამართზე - ქ. თბილისი, ბოხუას ქ. №10, (ს/კ. №01.13.02.005.006) –„ა“ ბლოკი - AR11084334, „დ“ ბლოკი - AR11084356 - ფარგლებში და შესაბამისად.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძე